

თკალთათკის დატარული ძოგი მოწამე



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
1927-1932 წწ.
ძრისფეფორა III

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ანოტაცია

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს მეტად მძიმე წლებში მოუწია საქართველოს ეკლესიის მწყემამთავრის მოვალეობის ზიდვა. დღეს შეუძლებლად მოჩანს მიახლოებით მაინც იმ განსაცდელის, დევნაშევიწროების წარმოდგენა, რომლის გადატანაც მას არგუნა ხვედრმა კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან. დადგა დრო უფრო ნათლად წარმოჩნდეს თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას ჩვენი ეკლესიი წინაშე.

ავტორი: თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პედაგოგი დავით ციცქიშვილი.

გამოიცა კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორეს შევილიშვილის ნიკოლოზ ცხაკაიას მიერ.

თვალთათვის დაფარული მოწამე

პატრიარქის სატარებელი
ჯვარი გამორჩეულია: მაგრამ
ზოგჯერ ეპოქაც თავის
მხრივ მეტისმეტად ამძიმებს
ხოლმე მას. საბჭოთის
დროს, განსაკუთრებით კი
მის პირველ ხანებში, ქარ-
თველ კათოლიკოსთა ცხოვ-
რება და მოღვაწეობა ამ კა-
ნონზომიერების ნათელი და-
დასტურებაა. საქართველოს



მამა ქრისტეფორე 1902წ.

ეკლესიისთვის მეტად რთულ დროს მოუხდათ მათ კატოლიკოსის
ტვირთის ზიდვა და დღეს შეუძლებლად მოჩანს დაახლოებით მა-
ინც იმ დევნა-შევიწროების წარმოდგენა, რომელიც განიცადეს იმ-
დროინდელი ხელისუფლების მხრიდან. ისიც არავინ უწყის, ამ
ხალხის ადგილას ვინ როგორ მოიქცეოდა და საერთოდ თუ შეძ-
ლებდა ღირსეულად იმ ცხოვრებისეული ზეწოლის გაძლებას,
რისი გადატანაც არგუნა მათ ხვედრმა. დღეს უბრალო
თვალისთვის წინ შეიძლება პატრიარქთა მაშინდელი შებორკილი
ყოფა წამოვიდეს, კომუნისტური ხელისუფლების მიმართ ერთი
შეხედვით შემწყნარებლური, ლოიალური დამოკიდებულება, ეკლე-
სიური ცხოვრების გაფერმკრთალება, მაგრამ ასცდებოდა კი ად-
ვილად ამას რომელიმე ან ვის შეუძლია იცოდეს, რა ფასად უჯ-
დებოდათ მათ ეს ყოველივე, იმ მცირედის კეთება, რის სამუშაო
ბასაც მაშინ გარემოება იძლეოდა, იმ ნაპერწკლის შენარჩუნება,
რომლის აალებითაც შემდგომმა თაობებმა ხელახალი მართლმა-
დიდებლური აღმასვლა დაიწყეს.



კათოლიკოსთაგან ერთ-ერთი, რომელსაც მეტისმეტად მძიმე ჯვარი უბოძა ღმერთმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1927-32 წლებში ქრისტეფორე III (ციცქიშვილია). იგი 1873 წლის 28 მარტს (15) დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ვერტყვიჭალაში. მის წინაპარ ციცქიშვილთა შტო სასულიერო გვარს მიეკუთვნებოდა, ამიტომაც მათ შორის მრავლად იყვნენ სასულიერო პირები. მღვდელი გახლდათ მომავალი პატრიარქის ერთ-ერთი ძმაც. ამიტომაც გასაკვირი არ ყოფილა, რომ მასაც სასულიერო მოღვაწეობისკენ გაუწია გულმა. დაამთავრა სასულიერო სემინარია, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი პედაგოგიური კურსები, 1895 წლიდან მღვდელობდა კასპიის. ზღვის იქითა მხარეში, შემდგომ სურამის ერთ-ერთ უბან-იტრიაში, გორის მაზრის სოფლებში ხიდისთავსა და ნაბასტევში, თბილისის ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში; ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც; ასწავლიდა იტრიაში, თბილისის მე-5 გიმნაზიაში ქართულ ენასა და საღვთო რჯულს. ერთი პერიოდი, 1904-1905 წლებში, გახლდათ გორის სამრევლო სკოლების მეთვალოფურე.

ეს ჩამონათვალი კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს ცხოვრების ერთი მონაკვეთის მხოლოდ მშრალი ცნონებია; ყველაზე საინტერესო კი მაინც მისი მოღვაწეობის სხვა ეტაპები და ის მსოფლმხედველობაა, რომელიც მას თავის ეპოქასთან დაკავშირებით გააჩნდა. იგი გახლდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პირველი მოთავეთაგანი. 1905 წელს, მაშინ ახალგაზრდა მღვდელი, მეთაურობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო პირთა კრებას, რომელმაც შეიმუშავა და მინისტრთა კაბინეტში გაგზავნა მოხსოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. უნდა ითქვას, რომ ეს და კრებაზე განხილული სხვა საკითხები იმ დროისათვის საკმაოდ თამამი და გაბედული ნაბიჯი იყო და კრების მონაწილეები დაუსჯელნი არ დარჩენილან. მა-

შინდელი ეგზარქოსის
ალექსისა და სასულიერო
სემინარიის რექტორის, ნი-
კანდრის წაქეზებით კაზა-
კებმა ქართველი სამღვდე-
ლოება სასტიკად დაარბიეს
და მათ სულ როზგებით გა-
უმასპინძლდნენ. ეს შემ-
თხვევა იმდენად უმსგავსოდ
გამოიყურებოდა მართლმა-
დიდებლობის ისტორიაში,
რომ მასზე, ალბათ, ცოტა
უფრო დაწვრილებით ღირს
შეჩერება.



ყველაფერი დაიწყო ქარ- ანა ჩუბინიძე (მეულლე)
თველი სამღვდელოების სამართლიანი მოთხოვნით, გამართული-
ყო სასულიერო პირთა შეკრება, რომელიც წესით სამ წელიწად-
ში ერთხელ უნდა მოწვეულიყო და ეკლესიისათვის საჭირობო-
ტო საკითხები განეხილა. ამგვარ კრებას, მიუხედავად ქართველი
სამღვდელოების არაერთგზის თხოვნისა, 1899 წლიდან ადგილი
არ ჰქონია. ამ სამართლიან მოთხოვნას იმდროინდელი სასული-
ერო ხელისუფლება ეგზარქოსების მეთაურობით ან უარით პასუ-
ხობდა ან კიდევ გაურკვეველ პასუხს-იძლეოდა მისი ჩატარების
დროსთან დაკავშირებით. ბოლოს ეკლესიის პრობლემებმა და,
განსაკუთრებით, ერთმა დამაფიქრებელმა გარემოებამ ქართველი
სამღვდელოება იძულებული გახადა თავად, პირადი ინიციატივით,
შეკრებულიყო თბილისში და უკვე ფაქტის წინაშე მდგარი ეგ-
ზარქოსისთვის თანხმობა გამოეთხოვა. საქმე ეხებოდა სასულიე-
რო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ნიკანდრის უმსგავს
ქმედებას ქართველ მოსწავლეთა მიმართ. იგი ყოველნაირად ავიწ-
როებდა ქართველებს მაშინ, როდესაც თანამემამულე რუს მოს-

წავლეთა მიმართ, მათივე ზნეობრივი აღზრდის საზიანოდ, დიდ შემწყნარებლობასა და ყურადღებას იჩენდა. სემინარიის რექტორის შავბნელი საქმიანობის ნათელსაყოფად ერთი ფაქტიც კმარა. მისი რექტორობის დროს ქართველ მოსწავლეთა რიცხვი 140-დან 11-მდე შემცირდა. ბუნებრივია, ჩვენი სამღვდელოება გვერდს ვერ აუვლიდა ამ შემაშფოთებელ მოვლენას და მისი შეკრების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდა.

ეგზარქოსმა, როგორც იქნა, მისცა შეკრებილ სასულიერო პირებს კრების ჩატარების უფლება; იმის ნებაც დართო, რომ სამინარიის შენობაში გაეთიათ ღამე, მაგრამ თანხმობას მათ იმ საკითხთა ნუსხაც დაურთო, რომელთა განხილვითაც უნდა შემოფარგლულიყო კრების მუშაობა. ის საკითხები კი იმ დროისათვის იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მათი განსჯის შემთხვევაში სამღვდელო პირთა შეკრებას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა. მაგალითად, ერთი ქალთა სასწავლებელში ფლიგელის მოხსნას ეხებოდა, მეორე – აბანოს მოწყობას, მესამე – სექტანტთა საწინააღმდეგო ღონისძიებებს, მაშინ, როდესაც იმდროინდელ საქართველოში სექტები ფაქტიურად არ არსებოდა. ბუნებრივია, ქართველი სამღვდელოება, ბუნებრივია, ამ საკითხებით ვერ დაკავდებოდა და ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეკლესიის-თვის საჭიროობო საკითხების განხილვა დაიწყო. პირველ ყოვლისა, შემუშავდა და მინისტრთა კაბინეტს გაეგზავნა მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე, შემდეგ კი სამინარიის რექტორის უმსგავს ქმედებათა განსჯის ჯერიც დადგა. აქ უკვე სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა, ნიკანდრმაც აღარ დააყოვნა; დაიბარა კაზაკები და იმ საბაბით, რომ მის სიცოცხლეს და სასწავლებლის შენობას საფრთხე ემუქრებოდა, მათ კრების მონაწილეთა გაყრა უბრძანა. კაზაკებმა გულმოდგინედ აღასრულეს მისი დავალება და შეკრების მონაწილენი სულ როზგებით გაამათრახეს. ისინი გაგცეულებსაც აღარ ინდობდნენ, ბოლომდე მიჰყვებოდნენ მათ და შეურაცხმყო-

ფელი შეძახილებითა და
მათრახებით უმასპინ-
ძლდებოდნენ.

ამ ვანდალურმა შემ-
თხვევამ დიდი გამოხმაუ-
რება ჰქოვა იმდროინ-
დელ ქართველ და არა
მხოლოდ ქართველ სა-
ზოგადოებაში. ყველა
აღმფოთებული იყო. იხ-
სენებდნენ სხვა სარწმუ-
ნოების წარმომადგენელ-
თა მიერ მართლმადიდე-
ბელთა დარბევას და თან
აღნიშნავდნენ, რომ თუ
მაშინ ყველაფერი გასა-
გები იყო, ახლა არნა-
ხულ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე. მართლმადიდებლებმა დაარ-
ბიეს თავისივე სარწმუნოების წარმომადგენლები და თანაც ვინ?
— სასულიერო პირები. ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებასაც, რომ
კაზაკები ვერ იმოქმედებდნენ ეგზარქოსის ნებართვის გარეშე და
მომხდარ შემთხვევაში მასაც უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებ-
ლობა. თუმცა მიუხედავად ასეთი საზოგადოებრივი აზრისა, რუ-
სეთის ეკლესიის მაშინდელმა სინოდმა განიხილა რა მომხდარი
ფაქტი, სულ სხვაგვარად განსაჯა იგი. კრება უკანონოდ ცნო,
მისი მოწყობის ინიციატორები კი მკაცრად დასაჯა. მის თავ-
მჯდომარეს, მამა ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) საერთოდ აუკ-
რძალა სამღვდელო მოღვაწეობა და სამრევლო სკოლების ზედამ-
ხედველობის თანამდებობიდანაც გაანთავისუფლა. დარბევის მომ-
წყობთა მიმართ კი სინოდმა სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო:
სემინარიის რექტორი დააწინაურა და არქიმანდრიტობიდან ეპის-



ქრისტეფორე III მეულლით

კოპოსის ხარისხში აიყვანა. ქართველი საზოგადოებისათვის ასე ცინიკურად და დამამცირებლად განსაჯა რუსეთის მაშინდელმა სა-სულიერო ხელისუფლებამ აღნიშნული შემთხვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი სამღვდელოების 1905 წლის კრება პირველი თუ, არა ერთ-ერთი უპირველესი ფართო-მასშტაბიანი გამოსვლა მაინც იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით და ამიტომაც საწყენია, რომ როცა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პირებს ასახელებენ, იქ თითქმის არასოდეს ფიგურირებს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორეს სახელი. როგორც დასახელებული შემთხვევა მიუთითებს, მას გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლის საქმეში და საკმარისადაც დაისაჯა ამის გამო. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ იმ დროისთვის იგი მხოლოდ ახალგაზრდა მღვდელი იყო და მაშინ, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო მაღალი წოდების სასულიერო პირები არ ჩანდნენ, მისთვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო სათავეში ჩადგომოდა ასეთ რთულ საქმეს. ალბათ უკვე მაშინ გამომჟღავნდა ნათლად, თუ რა გაქანების სასულიერო მოღვაწე ჰყავდა მისი სახით საქართველოს ეკლესიას.

საქართველოს ეკლესიის ჭეშმარიტი თავისუფლებისადმი ინტერესი მამა ქრისტეფორეს არც შემდგომში განელებია. იგი 1917 წელს, ჩვენი ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომაც, აგრძელებდა საქმიანობას ამ მიმართულებით. მამა ქრისტეფორე გახლდათ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალ „ახალი სიტყვა“, რომლის დანიშნულებასაც, მის გამომცემელთა აზრით, წარმოადგენდა დახმარება გაეწია ეკლესიისთვის ყოველგვარი იმ მანკიერებისა და მავნე გადმონაშთისა-გან განთავისუფლებაში, რაც უცხო რეჟიმის ბატონობას მოეტანა მისთვის. პირდაპირ უნდა ითქვას, ჟურნალის დამაარსებლები არცოუ მაინცდამაინც კმაყუიფილნი იყვნენ ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ ეკლესიური ცხოვრების მიმდინარეობით. 1918

წელს პირველივე ნომერში უურნალი წერდა: „ავირჩიეთ კათოლიკოსი, მიტროპოლიტები, გავ-ხსენით ახალი საეპისკოპოსო კათედრები, დავიბრუნეთ სასწავლებლები და იქ ჩვენი ხალხი და-ვაყენეთ, ამის შემდგომ კი მეტად ფრთხილ და უსიცოცხლო გზას დავა-დექით. მართალია სიფ-რთხილე საჭიროა, მაგ-რამ სხვაა სიფრთხილე და ის უმოქმედობა, რა-საც ჩვენთან აქვს დღეს ადგილი“. თავად მამა ქრისტეფორე კი იმავე ნომერში აღნიშნავდა:



ქრისტეფორე III-ის შვილები 1910 წ.

„ას წელიწადზე მეტ ხანს იყო ჩვენი ეკლესია შებოჭილი, ის იმ ზღაპრული ხელმწიფის ასული ხომ არ არის, სამასი წლის ძი-ლის შემდეგ, ისევ ისეთი რომ აღდგა, როგორიც ადრე იყო? ერთ წერტილზე შეჩერება სიკვდილია ყოველისა და ყველაფრისათვის. არ კმარა ჩვენს საეგზარქოსოს საქართველოს საკათალიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველი საკა-თალიკოსო შესამოსლების გამომზიურება, საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მოქმედ ძალთა შემ-ჩნევისა, დაფასებისა, მათი შეთანხმებულად დარაზმვისა. ნაკლე-ბი „მეობა“ და მეტი „ჩვენობა“.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომი პირველი პერიოდი შეიძლება მეტისმეტად

ნათელ ფერებში მოჩანდეს. იმ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ, რომ მაშინ საქართველოს ეკლესია რუსეთისას გამოეყო, იმდროინდელი პრობლემების ერთგვარი დაჩრდილვისკენ შეიძლება უბიძგოს კაცს. მრევლმა თავისი დიდი ხნის წადილი აისრულა, გვყავდა კათოლიკოსი, რაღაც დაბრკოლებები მაშინაც იქნებოდა, მეტი თითქოს რა უნდა გვენატრა, მაგრამ როგორც უურნალ „ახალ სიტყვაში“ გამოთქმული მოსაზრებანი მიუთითებუნ, არც მთლად ასე იყო საქმე. საკმარისად სერიოზული პრობლემები იდგა იმ დროს ჩვენი ეკლესიის წინაშე, რომელთა გაშუქებაც დღეს ჩვენგან ობიექტურობას მოითხოვს.

უურნალ „ახალი სიტყვის“ დამაარსებელთა მიხედვით, გამოცემის მიზანი მაშინდელი სასულიერო ცხოვრების ჭეშმარიტი განახლებისათვის ხელშეწყობა გახლდათ. მას მონაწილეობა უნდა მიეღო იმ ბრძოლაში, რომელიც საეკლესიო სფეროში უნდა გამოცხადებოდა ყოველგვარ ფლიდობას, ფარისევლობას, მიკერძოება-კინკლაობასა და უსამართლობას, ვისგან გამომდინარეც არ უნდა ყოფილიყო ეს ყოველივე – მაღალი სასულიერო პირისგან დაწყებული, ეკლესიის უბრალო მსახურით დამთავრებული. უურნალმა თავი გაართვა ამ მისიას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების გამოცხლების საქმეში.

1922 წლის 18 მარტს დეკანოზი ქრისტეფორე (ციცქიშვილი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ ხელდასხმულ იქნა ჯერ მანგლისის, ხოლო შემდეგ ურბნისის ეპისკოპოსად. 1922 წლის 28 მაისს დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ეპისკოპოსად, 1923 წლის 12 იანვრიდან 1925 წლის 8 მარტამდე კი ასრულებდა პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობას. აქედან იწყება კათოლიკოს ქრისტეფორეს ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი. საქართველოს ეკლესიისთვის ეს მეტად მძიმე წლები იყო. კომუნისტური ტერორი მძვინვარებდა და ავიწროვებდა ეკლესიას. საჭირო იყო მეტად ბრძნული, ფრთხი-

ლი გადაწყვეტილებების მიღება, რათა ოდნავ მაინც შესუსტებულიყო საბჭოთა ხელისუფლების სასტიკი ზეწოლა. პატრიარქი ამბოლსი კომუნისტებს ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული და ეპლესის მართვა-გამგეობა ფაქტობრივრად მისი მოსაყდრის ხელში გადავიდა. კათოლიკოსი ციხიდან იყო დასახსნელი. სხვებთან ერთად მეუფე ქრისტეფორეც მნიშვნელოვან ძალის ხმევას იჩენდა ამ მიმართულებით, მაგრამ პატრიარქის განთავისუფლება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი პირისადმი, აბელ ენუქიძისადმი მიწერილ წერილში მიტროპოლიტი ქრისტეფორე წერდა: „დღეს მე გავუგზავნე მოხსენება ს.ს.რ.კ. ცაკის თავმჯდომარეს კალინინს და ვთხოვ საკავშირო უზენაესი ხელისუფლების ყურადღება მიაქციოს კათოლიკოს-პატრიარქის მდგომარეობას. კათოლიკოსს მისჯილი აქვს შვიდი წლით ციხეში ჯდომა, რის ატანაც მას მოხუცებულობისა და უძლურების გამო, რასაკვირველია, არ შეუძლია.

მე წერილობით, კათოლიკოსის განთავისუფლება საქართველოს ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიასაც ვთხოვე. ამასვე ვთხოვთ ახლა თქვენც. კათოლიკოსის ციხეში ჯდომა დღეს აღარ წარმოადგენს საჭიროებას მისი ციხეში ყოფნა დღეს უფრო თქვენი მოწინააღმდეგებისათვის არის სასურველი, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, ყოველთვის და ყველგან თქვენს საწინააღმდეგოდ ილაპარაკონ ამის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პატრიარქმა ტიხონმა უფრო მკაცრი ურჩობა გაგიწიათ თავისი მოწოდებებით, ვიდრე კათოლიკოსმა ამბოლისმ, მაგრამ ტიხონი დღეს თავისუფალია. ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს ეკლესია და მორწმუნები ყველაზე მეტ შევიწროვებას განიცდიან მთელ საკავშირო ტერიტორიაზე (რუსეთი, სომხეთი და სხვა) და ქართველი ხალხის მასა მორწმუნები, გულნატკენი არიან ამით, ისინი ისე არიან დაშინებულნი, რომ თუმცა ძალიან სურთ, მაგრამ მათი უმრავლესობა ვეღარ ბედავს ეკლესიების გახსნას, თუმცა ს.ს.ს. რესპუბლიკის ცაკმა

1924 წლის 21 ნოემბერს (№ 124) სრულიად დამაკმაყოფილებელი დადგენილება გამოაქვეყნა ეკლესიების გახსნის შესახებ. ს. ორჯონიქიძემ, მახარაძემ, კახიანმა, გაზეთში ნათლად აღიარეს თავიანთი შეცდომები საქართვლეოში წარმოებულ საეკლესიო პოლიტიკაში...

გთხოვთ ხელი შეუწყოთ ამ თხოვნის განხორციელებას, რომ თბილისში გამართული საკავშირო ცაკის სესია საქართველოს მორწმუნებმა მუდამ მადლობით მოიგონონ“.

როგორც იქნა, გაათავისუფლეს კომუნისტებმა პატრიარქი ციხიდან, მაგრამ იგი უკვე იმდენად იყო დასუსტებული და ჯანმრთელობაშერყეული, რომ ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია – 1927 წლის მარტში ნატანჯმა, გაწამებულმა კათოლიკოსმა სული უფალს მიაბარა.

მიუხედავად იმისა, რომ ორ პატრიარქს – ამბროსის და ქრისტეფორეს ბევრი რამ აკავშირებდა, მათ შორის მთელ რიგ საკითხთა მიმართ აზრთა სხვადასხვაობასაც ჰქონდა ადგილიც. ეს განსაკუთრებით ხელისუფლების მიმართ დაკავებულ პოზიციას შეეხებოდა. თუ პატრიარქი ამბროსი თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში ზოგჯერ სრულიად აშკარად ამხელდა საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობას ხალხისა და ეკლესის მიმართ, ქრისტეფორე III ამ თვალსაზრისით უფრო ფრთხილი, გაწონასწორებული პოზიციის დაკავების მომხრე იყო. ის, უპირველეს ყოვლისა, საზღვრავდა რა შედეგის მომტანი იქნებოდა კომუნისტების საწინააღმდეგო ქმედებები და შემდეგ იწყებდა უკვე მოქმედებას. ორ პატრიარქს შორის აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი გამოვლენა იყო 1922 წლის გენუის კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც გამონაკლისის სახით სოციალისტური რუსეთიც მონაწილეობდა, კათოლიკოს ამბროსის მიერ მემორანდუმის გაგზავნისადმი მეუფე ქრისტეფორეს მიერ დაკავებული პოზიცია. ამ მემორანდუმში პატრიარქი დაუფარავად ამხელდა რა საბჭოთა რუ-

სეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციას, ერი-სა და ეკლესიის სავალალო მდგომარეობას, იმედს გამოთქვამდა, რომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები ყურად იღებდნენ ეკლესიის მწყემსმთავრის მოწოდებას და დაიხსნიდნენ პატარა ქვეყანას კომუნისტების ძალმომრეობისა და მონობისაგან. ის, რასაც კათოლიკოსი ამბროსი წერდა, რა თქმა უნდა, სიმართლე იყო, როგორ შეიძლებოდა ჭკუათამყოფელი კაცი არ დათან-



სემინარიის სტუდენტი

ხმებოდა მას, მაგრამ აქ საქმე მის მიერ მოტანილი შედეგის განსაზღვრას ეხებოდა. მეუფე ქრისტეფორეს აზრით, ამგვარი მოწოდების გაგზავნა კიდევ უფრო დაამძიმებდა ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას. კონფერენციის მონაწილე ქვეყნებისაგან დახმარების მიღებაზე ფიქრი ნაკლებად რეალური იყო, საბჭოთა ხელისუფლება კი გაამძაფრებდა თავის ზეწოლას ისედაც დარბეულ და გაპარტახებულ ეკლესიაზე. სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა. კონფერენციაში მონაწილეთაგან მემორანდუმის გაგზავნას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, კომუნისტურ რეჟიმს კი არ დაუყოვნებია – ეკლესიას შევიწროვების ახალმა ტალღამ გადაურა. ისევ დაიწყო ტაძრების დარბევები, საეკლესიო ქონების განიავება, სასულიერო პირთა დევნა. განსაკუთრებით დაზა-

რალდა სოფლის სამღვდელოება. კათოლიკოსი ამბროსი და მის გვერდით მყოფი რამდენიმე სასულიერო პირი დაიჭირეს და დიდი ტანჯვა-წამება აგემეს. ამ განსაცდელმა მოწამის გვირგვინი დაადგა მათ თავზე, არც სჭირდება ასეთი მაგალითები, მაგრამ მთლიანობაში მარც ძნელი სათქმელია, ყოველივე ეს კარგის მომტანი იყო ეკლესიისათვის, თუ ცუდის.


ფილოსოფოსი ბერდიაუვი, თავის ერთ-ერთ ნაშრომში განიხილავს რა რუსეთის პატრიარქის, სერგის მოღვაწეობას, წერს: „არის დროს, როცა სარწმუნოებისათვის თავის გაწირვა, მოწამეობრივი აღსასრული ფუფუნებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს პატრიარქისათვის მას, პირველ ყოვლისა, ეკლესია აბარია, ჯერ მასზე უნდა იფიქროს და შემდეგ უკვე იმაზე, თუ როგორ აღესრულოს ღირსეულად“. მართალია, ეს ფილოსოფოსი თავისი რელიგიური შეხედულებების გამო არ ითვლება მართლმადიდებლურ სამყაროში ავტორიტეტად, მაგრამ ამის გამო ყველა მისი გამონათქვამი მცდარად შევრაცხოთ, რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი.

ყველა ეპოქას თავისი ლოგიკა აქვს, თავისი არსი, რომელიც მეტისმეტად ღრმად მსჭვალავს ადამიანთა, მით უმეტეს, პატრიარქთა ქმედებას, მოღვაწეობას. თავდაპირუელად კომუნისტური ტერორის შემყურეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იმ დროს პატრიარქად, ალბათ გაუჭირდებოდა, რომ როდესმე მაინც ხმა არ აემაღლებინა მათი უმსგავსო საქციელის შესახებ. მაგრამ როცა ნათელი გახდა, რომ პირდაპირ აუგის თქმა მხოლოდ წამგებიანია და მათ ვერაფერს შეასმენ, დრომ უკვე სხვაგვარი ურთიერთობის საჭიროება მოიტანა.

ჩვენ ვერ ჩავწევდებოდით განგებას ღვთისას, თუ რა ეტაპზე როგორმა პიროვნებამ მართოს ეკლესია. პატრიარქები ამბროსი და ქრისტეფორე ერთი მთელის ორი აუცილებელი შემაღებელი ნაწილია, ორივე მეტად საჭირო ეკლესიისათვის, მაგრამ თუ ერთის ღვაწლი ნათელია და დაფასებული, მეორისა ძნელად შესამ-

ჩნევია და მიუზღავი, მიუხედავად
იმისა, რომ ისიც ძნელად შესამ-
ჩნვია და მიუზღავი, მიუხედავად
იმისა, რომ ისიც მოწამეობრივი
უყო.

1927 წლის 26 ივნისს IV
საეკლესიო კრებაზე იმ დროს
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ქრისტეფორე ციცქიშვილი კათო-
ლიკოსად აირჩიეს. მეტად მძიმე,
ეკლესიისთვის სავალალო სიტუ-
აციაში მოუწია მას ეკლესიის
საჭეთმცყრობელის კვერთხის მი-
ღება. კომუნისტები ძალიან ავიწ-
როვებდნენ სასულიერო პირებს,
დევნიდნენ მრევლს. ხელისუფ-
ლების მიმართ ერთ-ერთ თავის განცხადებაში საკათოლიკოსო
სინოდის თავმჯდომარე ქრისტეფორე III და მისი წევრები აღ-
ნიშნავდნენ: „როგორ შეიძლება იმსახუროს კულტის მსახურმა,
რომელიც განიცდის ყოველგვარ აღმინისტრაციულ შევიწროვე-
ბასა და ზეგავლენას, როდესაც მას უზომოდ ბეგრავენ, ამის გამო
კი განიცდის აუტანელ ნივთიერ გაჭირვებას. ასეთ აღმინისტრა-
ციულ მოქმედებათა შედეგია ის გარემოება, რომ თუ 1921 წლამ-
დე საქართველოში ირიცხებოდა დაახლოებით 1500 მღვდელი და
ამდენივე დიაკვანი, 1928 წლის დამდეგისათვის ითვლებოდა შვი-
დასამდე მღვდელი და სამასი დიაკვანი. ხოლო ამჟამად ეს რიც-
ხვი, თუ ნახევრად არა, მესამედით მაინც იქნება შემოკლებული.
ამ უკანასკნელ თვეებში უზომოდ და უსაბუთოდ დაბეგვრის გა-
მო, მღვდლების გადადგომა სამსახურიდან ხდება აჩქარებული
ტემპით და თუ ასე გაგრძელდა, სულ მოკლე დროში მოწმე გავ-
ხდებით საქართველოს ეკლესიით სრული მოსპობისა“.



გელათის კრება 1921 წ.

თვითონ პატრიარქი კი ზელისუფლების ერთ-ერთ წარმომადგენელს ფილიპე მახარაძეს პირადად წერდა: „სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის დავალებით ჩვენ მივაქცევთ ს.ს.ს. რესპუბლიკის ცაკის ყურადღებას, რომ მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიის შესახებ ადგილობრივ არ სრულდება.

ა) ანტირელიგიური პროპაგანდა ბევრს გაგებული აქვს შეუზღუდველ დევნად მორწმუნეთა, სამღვდელოებისა და ეკლესიისა;

ბ) დაუსჯელად ხდება ეკლესიების ძარცვა და შიგნით მისი მოწყობილობების წვა; არა სამკაულებისა და ფულის მითვისების მიზნით, რადგან ძალიან ხშირად არაფერი საფასური არ მოიპოვება სადმე ეკლესიაში;

გ) მღვდლებს სრულიად ათახსირებენ, რევოლვერის გულზე დადებითაც კი აშინებენ მათ;

დ) ეპისკოპოსებს ნებას არ აძლევენ ინახულონ (მიმოიხილონ) ეკლესიები და სწირონ;

ე) აქამდეც დიდი შემოსავლის უმიზეზოდ გადიდებით აწერავდნენ გადასახადებს და ახლა კი ინდივიდუალური გადასახადების შემოღების შემდეგ კიდევ უფრო გაბერილად ანგარიშობენ ფაქტოურ მომოსავალს და მიაწერენ ათიდან ორმოც თუმნამდე გადასახადს, როდესაც თვით შემოსავალი ამაზე ნაკლებია.

ვ) მიწის ნორმას ართმევენ სამღვდელობას, ართმევენ დამუშავებულ, გათოხნილ მოვლილ და მოსავლისათვის გამზადებულ მიწას;

ზ) მორწმუნენი ეკლესიაში სიარულისათვის იბეგრებიან, განსაკუთრებით დღეობების დროს...

ჩვენი აზრით, ეკლესიის შევიწროვება ისე ძლიერად არსად არ ხდება საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოში. ეკლესიურ საქმეში. ჩვენში დაშვებული იყო და არის მრავალი საბჭოთა კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებანი... საქართველოში არ არსებობს სასულიერო სკოლა, მაშინ, როდესაც ასეთი სკოლა

არის რუსეთსა, უკრაინასა და სხვა მოძმე რესპუბლიკებში; ამას დავუ-
მატებთ, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ
ისეთი სასულიერო ორგანოს (ეურ-
ნალის) გამოცემის უფლება, როგო-
რიცა აქვთ რუსებს, უკრაინელებს,
ბაბუტისტებსა და სხვა. გთხოვთ,
ქართველი მორწმუნენი და მისი
სამღვდელოება გაათანასწოროთ
კავშირის რესპუბლიკათა მორწმუ-
ნებთან და სამღვდელოებებთან.
ჩვენ მოგახსენებთ, რომ დღეს წარ-
მოებული შევიწროებანი საქართვე-
ლოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც არ უნდა იყოს სა-
სურველი არავისათვის“.

კომუნისტებთან ბრძოლის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება,
რომელიც დრომ მოიტანა და მას კარგად აუღო ალღო პატრი-
არქმა, გახლდათ მოთხოვნა იმისა, რომ ხელისუფლებას დაეცვა,
შეესრულებინა მის მიერვე მიღებული კანონები და დეკრეტები
ეკლესიის შესახებ. ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, რომ უმე-
ტესწილად ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება უხეშად
ირღვეოდა. საეკლესიო ხელისუფლებას საკუთარი მოთხოვნების
წამოყენებისას ხშირად მოჰყავდა საბჭოთა კანონმდებლობის ის
პუნქტები, რომლებიც ამ მხრივადაც აშკარას ხდიდნენ მათ სა-
მართლიან ხასიათს. მართალია, კომუნისტები როცა სჭირდებო-
დათ არაფრად დაგიდევდნენ თავისივე მიღებულ კანონებს და
მათზე გვერდის ავლით მოქმედებდნენ, მაგრამ ასეთმა საქმიანო-
ბამ მაინც გარკვეულწილად თავისი შედევი გამოიღო. ხელისუფ-
ლების ზეწოლა ეკლესიაზე ერთგვარად შესუსტდა. ამის ფოსტა კო-
თი გამოვლენა იყო იმ დროს ცენტრალური აღმასრულებელი კო-
მიტეტის მიერ მიღებული დადგენილება რელიგიასთან ბრძოლის



პატრიარქ ქრისტეფორე 1215 წ.

იდეურ მხარეზე აქცენტის გადატანის შესახებ. მასში გატარებული იყო აზრი, რომ კანონების დარღვევა და ფიზიკური ზემოქმედება სახელს უტეხდა ხელისუფლებას, ქმნიდა შთაბეჭდილებას მის უმწეობაზე საკუთარი კანონების დაცვაში, სარწმუნოებასთან ბრძოლა მისივე განცხადებით უნდა მომხდარიყო კულტურული საშუალებებით, ხალხში განათლების, ცოდნის შეტანით და არა სხვაგვარად. ყველას მიმართ, ვისაც ამ მიმართულებით დარღვევას შეამჩნევდნენ, აღძრული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმე.

ის, რომ ხელისუფლება აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას შეეცდებოდა, ნაკლებად იყო მოსალოდნელი, მაგრამ ეს მაინც გარკვეული გამარჯვება იყო. რაც მთავარია სწორად იყო განსაზღვრული ის კურსი, იმ მწირი საშუალებების გამოყენება, რომლითაც ასე თუ ისე შეეძლოს მაშინ ეკლესიას თავი დაეცვა, რათა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოსულიყო იმ ურთულესი სიტუაციიდან.

ცალკე უნდა გამოიყოს კათოლიკოს ქრისტეფორეს მსოფლმხედველობა თავის ეპოქასთან დაკავშირებით. იგი ხედავდა, რომ კაცობრიობას ერთ-ერთი უმძლავრესი სატანური ძალა მოევლინა და მისადმი აშკარა დაპირისპირება ეკლესიის შესაძლებლობებს აღემატებოდა. უფალი უშვებდა ამ განსაცდელს, ერის ცოდვათა თუ სხვა მიზეზთა გამო და შეეძლო კი ეკლესიას შეეცვალა განგება ღვთისა. კომუნისტებისადმი აშკარა ბრძოლა ისედაც იავარქმნილი ტაძრების უფრო მეტ დანგრევას, სამღვდელოების კიდევ უფრო მეტ შევიწროებას, ეკლესიის განიავებული ქონების კიდევ უფრო მეტ დატაცებას ნიშნავდა. სასულიერო ხელისუფლების მხრიდან ამგვარი ქმედება მარტოოდნ ზედმეტი ღვაწლის აღება იქნებოდა საკუთარ თავზე და მართლმადიდებლურ სამყაროში კარგად მოეხსენებათ, რით მთავრდება ხოლმე ეს ყველაფერი. მოციქული პავლე ეპისტოლეში რომაელთა მიმართ ამბობს: „ყოველივე სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებას: ვი-

ნაიდან არ არსებობს ხელისუფლება თუ არა ღმერთისგან, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე“. (რომ, 1-2). კათოლიკოს ქრისტეფორეს სხვებზე უკეთ ესმოდა ეს. ისიც მასზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა, რომ მაცხოვრის ჩვენთვის მოცემული აღქმის გამო: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისაი ვერ ერეოდნენ მას“ (მათე 16, 18) ეკლესია უძლეველია და საბოლოო ჯამში ვერანაირი ძალა ვერ გატეხს მას, მაგრამ მხოლოდ ამ სიბრძნით შემოფარგვლაც იმ დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. ეკლესია რომ ნაკლებად დაზარალებულიყო, საჭირო იყო ხელისუფლების მიმართ მეტად ბრძნული, აწონ-დაწონილი ხაზის გატარება. ეს არ იყო ადვილი. კათოლიკოსი ყოველი მხრიდა დარტყმის ქვეშ მოექცა. ხელისუფლება ავიწროებდა და ეს გასაგებიც იყო, მაგრამ სასულიერო პირთა მნიშველოვან ნაწილსაც არ ესმოდა მისი — ეკლესიისათვის დამამცირებლად, ხელისუფლებისადმი შემწყნარებლურად თვლიდნენ ამ ხაზს, უპატივცემულობას იჩენდა უკვე ათეისტურ აზროვენბაშეპარული მრავლიც. მეტად მძიმე, დამამცირებელი, ეკლიანი იყო პატრიარქის გზა, მაგრამ იმის შეგნება, რომ სხვაგვარად სიარული დინების საწინააღმდეგოდ წასვლა იქნებოდა მხოლოდ, მას შეუძლებელს აძლებინებდა. ახლა სათქმელად ადვილია, მაგრამ მაშინ, თითქმის ყოველ დღე მრავალი მხრიდან შეტევის გაძლება, რა ფასად უნდა დაჯდომოდა პატრიარქის... დრომ მაინც დაამტკიცა მისი ხაზების სისწორე, შეიძლება ითქვას, მის შემდეგ მოსულმა ყველა პატრიარქმა ბრძოლის ეს გზა გააგრძელა. თუმცა, ისიც არის, რომ პირველგამკვალავს უფრო დიდი სირთულეები ხვდება ხოლმე წინ, ვიდრე მის შემდგომ მავალს.

საინტერესოა კათოლიკოს ქრისტეფორეს პოზიცია 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. იგი ამბობდა: “ПОС—ЛЕ БОЯ КУЛАКАМИ НЕ МАШУТ” და მაინც, თუ ქართველი ერი მოინდომებდა დამპყრობის წინააღმდეგ ბრძოლას, მაშინ ქუდზე

კაცი უნდა გამოსულიყო ყოველგვარი იარაღით, თუნდაც ბარებით, თოხებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი განწირული იქნებოდა და ქვეყნისათვის ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა. აჯანყების დამარცხებამ, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი სიტყვების ჭეშმარიტება.

კათოლიკოს ქრისტეფორის დროს მოხდა ეკლესიის გადასვლა კალენდრის ძველი სტილიდან ახალზე. ამ ნაბიჯით ის ცამეტდღიანი განსხვავება, რომელიც მაშინ იყო და დღესაც არსებობს საერო და საეკლესიო კალენდრებს შორის, მოისპო, ანუ ყოველ დღესასწაულის, მაგ., ახალი წლის აღნიშვნა ჩვენს შემთხვევაში რომ ამ ორი კალენდრით სხვადასხვა დროს ხდება, მაშინ ერთ დღეს დაემთხვა. უნდა ითქვას, რომ ამგვარ ქმედებას ჩვენს ეკლესიაში ადრეც ჰქონდა ადგილი. 1923 წელს კათოლიკოს ამბროსის ნებართვითაც იქნა ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი შემოღებული. თვითონ პატრიარქი ამბროსიც, როგორც ერთერთ თავის მოხსენებაში კათოლიკოსი ქრისტეფორე აღნიშნავდა, 1923-1924 წლებში ამ სტილის მიხედვით მარხულობდა და იხსნილებდა, თუმცა შემდგომში, 1925 წლის მარტიდან, კათოლიკოსის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ეკლესია ისევ კალენდრის ძველ სტილს დაუბრუნდა. მიუხედავად იმის, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა საკმაო ნაწილი კალენდრის ახალ სტილზეა გადასული, ქართველი მრევლის უმრავლესობის პოზიციიდან გამომდინარე, დროის ათვლის სისტემის მაშინ განხორციელებული რეფორმა ახლა არასწორად მოჩანს. დღეს ჩვენთან გაბატონებული აზრის თანახმად, უფრო სწორია კალენდრის ძველი, რომაელი იმპერატორის იულიუს კეისრის მიერ შემოღებული სტილი, ვიდრე ახალი, რომელიც რომის პაპ გრიგოლ XIII-ის ხელშეწყობით დამკვიდრდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კალენდრის ახალ სტილზე გადასვლის მომხრეებსც საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ თავისი არგუმენტები მოჰყავთ.

ალბათ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დროის ათვლის

სისტემის ოციან წლებში მომხდარი რეფორმა მაშინდელი კომუნისტური ხალისუფლების დიდი ზეწოლით განხორციელდა, მაგრამ აქ არ შეიძლება გამოირიცხოს თავად ქრისტეფორეს პოზიცია ამასთან დაკავშირებით. შესაძლებელია პიროვნულად იგი მომხრეც იყო კალენდრის ახალ სტილზე გადასვლისა. ყურადსალებია მისი მიღვომა ამ პრობლემისადმი. იგი ცდილობდა დროის ათვლის სწორი სისტემის შერჩევისას ნაკლებად გაუკეთებინა აქცენტი სარწმუნოებრივ მომენტზე. 1927 წლის ივნისში საეკლესიო კრებაზე, სადაც იმავე წლის ნოემბრიდან კალენდრის ახალ სტილზე გადასვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ქრისტეფორე III აღნიშნავდა: „ძველი სტილის კალენდარს წარმართული სეიძლება ვუწოდოთ, რადგან იგი კერპთაყვანისმცემელ იულიუს კეისრის მიერ არის შემორებული. მაგრამ ნამდვილი კალენდარი არც წარმართულია, არც ბურჟუაზიული და არც სოციალისტური, იგი საზომია დროის“.

დღეს საქართველოში ეკლესიის წინაშე არ დგას აქტუალურად კალენდრის შეცვლის საკითხი. მართლმადიდებელი ადამიანი, ვინც ღირსეულად ცხოვრობს ახლანდელით, ძველი სტილის კალენდრითაც მშვენივრად ახერხებს ცხოვრებას, ღმერთთან მისვლას და ეს როგორ მოხდება დროის ათვლის ახალ სტილზე გადასვლისას მნელი სათქმელია. შესაძლებელია, კათოლიკოსი ქრისტეფორე ცდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებილ, მაგრამ აქ აუცილებლად მხედველობაში მისაღებია ორი გარემოება: ის, რომ საქართველოს ეკლესია დროის რეფორმის განხორციელებისას მაშინდელი ხელისუფლების დიდ ზეწოლას განიცდიდა, და თან, რომ უშეცდომო ამქვეყნად არავინ არის. ზოგჯერ თვით დიდ წმინდა მამებსაც კი მოსდიოდათ შეცდომები.

ქრისტეფორე III ეწეოდა მეცნიერულ მუშაობასაც. მას ეკუთვნის ბევრი ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის წერილი და გამოკვლევა. მათგან გამოსაყოფია ნაშრომები ძველი ქართული მწერლობის ძეგლის „ვისრამიანის“ ეროვნების შესახებ. განსაკუთ-

რებით აღსანიშნავია კათოლიკოს ქრისტეფორეს მოღვაწეობის ქველ-მოქმედებითი მხარე. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ამ მიმართულებით. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მაგალითიც კმარა. მისი ხელ-შეწყობით აშენდა სურამში სკოლა, ხიდი, აღიმართა ეკლესია. უნდა ითქვას ისიც, რომ ქრისტეფორე III აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით აღმშენებლურ საქმიანობაში, არამედ განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება იმ ეკლესია-მონასტრების შენარჩუნებაშიც, რომლებმაც ასე თუ ისე ჩვენამდე მოაღწიეს და გადაურჩნენ კომუნისტურ ტერორს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ ეკლესიათა გადამრჩენადაც მოიხსენიებენ ხოლმე მას ამგვარი მოღვაწეობის გამო.

იგი მეტად ფრთხილი, რეალისტური აზროვნებით გამოირჩეოდა. სრულიად შეულამაზებლად აღიქვამდა სინამდვილეს. ყოველმხრივ ცდილობდა და ყველა სამუალებას იყენებდა ეკლესიის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში, ზომიერების ფარგლებში გაბედულად უტევდა ხელისუფლებას, მაგრამ სადაც თავს ზემოთ ძალა არ იყო, იქ რას გააწყობდა. როცა კომუნისტებმა სიონის ზარი ჩამოაგდეს ერთ-ერთი სასულიერო პირი აღელვებული მივარდნილა: როგორ გაბედეს, სად იყავით, რატომ ვერ შეეწინა-აღმდეგეთო? კათოლიკოსს მიუგია, არის მომენტები, როცა კომუნისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, თუ შეგიძლია შეკრიბე ხალხი და შეებრძოლე მიტ-რიალებულა ის სასულიერო პირი და წასულა. შემდგომში, წლების შემდეგ, როცა ავად უწვნევია კომუნისტების დევნა-შევიწ-როვების მთელი საშინელება და დამსხვრევია ილუზიები, პატრი-არქის ერთ-ერთ შთამომავალთაგან (კათოლიკოს ქრისტეფორეს 5 შვილი ჰყავდა, ცოლი ადრე გარდაეცვალა და მან იტვირთა ობლების აღზრდა) საუბარში უთქვამს: მე მხოლოდ ახლა ვწვდები, რამდენად ბრძენი კაცი იყო კათოლიკოსი ქრისტეფორე. ასეთ შემთხვევასაც ჰყვებიან: ღვთისმსახურებისას თავზე ქუდით შესულა სიონში ვიღაც კაცი და თან სიგარეტს ეწეოდა თურმე. მე-

ტად გამომწვევად იქცეოდა, მაგრამ ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ ვერავის გაუბედავს მისთვის რაიმეს თქმა. კათოლიკოსს ლოცვა მიუტოვებია, ჩასულა ამბიონიდან, მოუკიდია იმ კაცის-თვის ხელი და სულ კინწისკვრით უსვრია გარეთ. მისი აღნაგობის კაცს (იგი მეტად მაღალი იყო) ეს არ გაუჭირდებოდა.

კომუნისტების მიმართ მეტად უარყოფითდად იყო განწყობილი, მაგრამ ეკლესის ხვედრი მათთან ურთიერთობაში თავშეკავებას მოითხოვდა, თუმცა თავშეკავებას მაინც ვერ ითმენდა და ხიფათში იგდებდა თავს. სურამში პატრიარქს კარმიდამო ჰქონდა თავისი ბალით, რომელსაც მშვენიერი ხეები ერტყა გარშემო. იგი ხშირად მუშაობდა ამ ბალში და როგორც ამბობენ, ისეთი მადლიანი ხელი ჰქონდა, რაც უნდა დაერგო ან დაემყნო, თურმე ყველაფერი ხარობდა. ერთხელ მუშაობისას თავს ორი ახალგაზრდა კომკავშირელი წამოსდგომია და უხეშად უკითხავთ: შენ ვინ ხარო? მე ამ კარმიდამოს პატრონი გახლავართო, - მიუგიაწყნარად. ჩვენ ხალხში კულტურა და განათლება შემოგვაქვს, გზას ვაფართოვებთ და შენი ხეები უნდა ავჩენოთ, - გაუგრძელებიათ იმავე ტონით. შვილებო, - უთქვამს პატრიარქს, - თქვენ რისი შემოტანაც გინდათ ის ამ ვიწრო გზაზეც კარგად შემოეტევაო. წასულან კომკავშირელები და დაუბეზღებიათ, მაგრამ, ღვთის მადლით, კათოლიკოსი განსაცდელს გადარჩენილა.

უჭირდა როგორც სულიერად, ისე მატერიალურადაც. თავად დადიოდა თურმე სოფელში პროდუქტების ჩამოსატანად. დღეს წარმოუდგენლად მოჩანს კათოლიკოსისთვის ასეთი საქციელი. ხალხში გამოსვლას ერიდებოდა. უბრალო მღვდლებს აწიოკებდნენ და პატრიარქს რაღას უზამდნენ. ერთხელ, ჭიათურაში გამგზავრებულა მატარებლი. გზად ტრანსპორტი გაფუჭებულა და მგზავრები იძყლებული გამხდარან შორაპნის სადგურში დალოდებოდნენ მის შეკეთებას. პატრიარქი მოფარებულში დამჯდარა, ხალხის თვალს რომ მორიდებოდა, მაგრამ ერთ-ერთ მგზავრს უცვნია და მთელი ხმით უყვირია: იცით აქ ვინ არის? - სრუ-

ლიად ასქსრთველოს კათოლიკოს-პატრიარქია, ახლავე მუხლი მოაყარეთო. იმდენი უქნია, სასულიერო პირის პატივისცემასა და მუხლისმოყრას გადაჩვეული ხალხი მაინც დაუჩოქებია. კათოლიკოსი კი იმ კაცს სთხოვდა, მაგ ხალხს თავი დაანებე, ჩემს გამო რაიმე განსაცდელს არ შეჰყაროო.

ურთულესმა დრომ, ნერვიულობამ, შემოტევამ ყოველი მხრიდან, ნაადრევად გატეხა კათოლიკოს-პატრიარქის ჯანმრთელობა. მისი ჯერ მოსაყდრეობის, როცა ეკლესიის მწყემთათვის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ პატრიარქობის თითოეული წელი, სხვა დროის მრავლად წელს უდრიდა. დღეს შეუძლებლად მოჩანს წარმოდგენა იმისა, თუ რამდენად შევიწროებულად გრძნობდა იგი თავს. ერთ განსაცდელს ზოგჯერ ძლივს უძლებს კაცი და აქ მუდმივად გაჭირვებათა მთელი წყება რა ძნელი გადასატანი უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის. პატრიარქი ჯერ კიდე ახალგაზრდა აღესრულა 1932 წლის 10 იანვარს, 57 წლისა. წესისამებრ, ისევე, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომი ყველა პატრიარქი, დაკრძალულ იქნა თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში. ისევე უბრალოდ, მოკრძალებულად წავიდა, როგორც გაატარა მთელი თავისი ცხოვრება. გაზეთში მხოლოდ ერთი პატარა განცხადება იყო, ისეთი, როგორითაც ჩვეულებრივ ერისკაცს აცხადებენ ხოლმე: „გარდა-იცვალა ქრისტეფორე ციცქიშვილი“.

ბევრმა არც კი იცოდა, რომ ეს სახელი და გვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნოდა.